

808მუნდ ფრონტი

0438008 მომავალი

სიჩმართხილვის შესახებ

მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი

გამომცემლობა აქტი
თბილისი – 2022

ავტორი: ზიგმუნდ ფროიდი
მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშვილი
რედაქტორი: დიმიტრი უჩანევიშვილი
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks

ISBN 978-9941-8-4382-2

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა	5
0 ლუზის მომავალი	9
თავი I	11
თავი II	17
თავი III	23
თავი IV	31
თავი V	35
თავი VI	41
თავი VII	46
თავი VIII	53
თავი IX	59
თავი X	65
სიმართხელეს შესახებ	73
თავი I	75
თავი II	77
თავი III	85
თავი IV	91
თავი V	97
თავი VI	102
თავი VII	109
თავი VIII	114
თავი IX	117
თავი X	120
თავი XI	121
თავი XII	126
მასშის ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი	129

თავი I. შესავალი	131
თავი II. ლებონი და მასის მენტალოგის	
მისული დანარიათაბა	133
თავი III. კოლექტიური მენტალური ცხოვრების	
სხვა შეფასებები	144
თავი IV. ჩაგონება და ლიბიდო	151
თავი V. ორი ხელოვნური მასა: ეპლესია და ჰარი	156
თავი VI. შემდგომი ამოცანები და კვლევის	
მიმართულება	163
თავი VII. იდენტიფიცირება	168
თავი VIII. შეყვარებულობა და ვიპოზი	174
თავი IX. ჭოგური ინსტინქტი	181
თავი X. მასა და პირველყოფილი ურდო	187
თავი XI. ეგოს ერთი საფეხური	193
თავი XII. დამატებები	199
გამომცემლობა „პტტ“-ს მიერ გამოცემული წიგნები	213

მთარმმნელის წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ერთ-ერთი ნაშ-რომია „მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი“, რომელიც მასობრივ გაერთიანებათა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ანა-ლიზს ეძღვნება. აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ იგი წარმოადგენს ფსიქოანალი-ზიდან, როგორც თერაპიული მეთოდოლოგიდან, ფსიქოა-ნალიზზე, როგორც ფილოსოფოსობის ფორმაზე გადასვლას. ასეთი გადასვლა ხორციელდება ფსიქოანალიზის დებულე-ბათა გამოყენებით სოციალური მოვლენებისა და პროცესების ასახსნელად. ფრონდი ცდილობს ინდივიდუალურ-ფსიქიკური დონე დაუკავშიროს საზოგადოებრივ ფერომენთა სტრუქტუ-რულ და დინამიურ ასპექტებს. ფრონდის თანახმად, პიროვნე-ბის ფსიქოლოგია ფართო გაგებით სოციალურ („მასობრივ“) ფსიქოლოგიასაც წარმოადგენს, რადგან ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში ყოველთვის მყოფობს „სხვა“. „მასების ფსიქოლო-გია“ ადამიანს განიხილავს, როგორც სოციალური ერთობის ნა-წილს, ანუ როგორც ბრძოლა შემადგენელ ნაწილს.

ფრონდი, ლე ბონისა და მაკდუგალის მონაცემებზე დაყრ-დნობით, მიანიშნებს მასაში წარმოქმნად სოციალურ-ფსიქო-

ლოგიურ ეფექტებს – აფექტურობის ზრდასა და ინტელექტის კლებას. მასის მსგავს გაერთიანებათა ჩამოყალიბების და ფუნქციონირების პროცესთა ინდივიდუალურ-ფსიქიკურ სა-ფუძველებს ფრონიდი ლიბიდოს თეორიის გამოყენებით გან-მარტავს. ლიბიდოს ქვეშ იგულისხმება პირველად წადილთა ენერგია, „რასაც საქმე აქვს ყველაფერთან, რაც შეიძლება სი-ყვარულის ცნების ქვეშ განზოგადდეს“. სწორედ ლიბიდოს სა-ფუძველზე წარმოქმნილი ემოციური კავშირები წარმოადგენს „მასობრივი სულის“ არსა. მასებს ფრონიდი განიხილავს ეკლე-სიისა და ჯარის მაგალითზე. ეკლესიაცა და ჯარიც ხელოვნურ (გარეშე იძულებასთან დაკავშირებულ) მასებს წარმოადგენს. ეკლესიისა და ჯარის ფუნქციონირება ეფუძნება კულტივირე-ბას ილუზიისა უზენაესი მბრძანებლის (ეკლესიაში – ქრისტეს, ჯარში კი მთავარსარდლის) შესახებ, რომელსაც თანაბრად უყ-ვარს მასის თითოეული წევრი. ის შესაძლოა ჩანაცვლებული იყოს გაბატონებული იდეით. ფრონიდის აზრით, მასის თითო-ეული წევრის კავშირი უზენაეს არსებასთან წარმოადგენს იმავდროულად მასის წევრებს შორის კავშირის მიზეზს. ასეთ მასებში თითოეული ადამიანი ლიბიდოზურადაა დაკავშირე-ბული ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, ბელადთან, ხოლო, მეორე მხრივ, მასის სხვა წევრებთან. ამასთან, ინდივიდთა ერთობა მოცემულ მასაში კორელაციაშია სხვა მასებისადმი მტრობასთან. ადამიანების მასად გაერთიანება განიხილება, როგორც შედეგად მიღებული ინდივიდუალური ნარცისიზმის შეზღუდვა. ფრონიდის აზრით, მასაში ნარცისული თვითმოყვა-რების შეზღუდვა იმის მტკიცებას წარმოადგენს, რომ მასა-თწარმოქმნის არსი მასის წევრების ერთმანეთთან სპეციფი-კურ ლიბიდოზურ კავშირებშია. ასეთი კავშირის მექანიზმებს სექსუალური ენერგიის გადამისამართება და იდენტიფიცირება წარმოადგენს. იდენტიფიცირება წარმოადგენს ობიექტთან პირველსაწყისი ემოციური კავშირის ფორმას; იგი რეგრესული გზით იქცევა ლიბიდოზური ობიექტური კავშირის ჩანაცვლე-ბად. იდენტიფიცირება, როგორც მასათწარმოქმნის მექანიზმი,

0228008 მომავალი

თავი |

დაპყოფ რა საკმაოდ ხანგრძლივ დროს კონკრეტული ცი-
გილიზაციის ფარგლებში და არც თუ მცირე ძალისხმევას მი-
მართავ მისი ისტორიისა და განვითარების გზათა კვლევისკენ,
რაღაც მომენტში შესაძლოა გძლიოს ცდუნებამ სხვა მიმართუ-
ლებით მიაპყრო მზერა და დაუსცა საკუთარ თავს კითხვა: რო-
გორია ამ ცივილიზაციის მომავალი ბედი და რა ცვლილებები
ელის მას? მაგრამ მყისვე მიხვდები, რომ ასეთი კვლევა და-
საწყისიდანვე გაუფასურებულია რამდენიმე მომენტით. უმე-
ტესწილად იმით, რომ მხოლოდ მცირე როადენობის ადამიანი
მოიძებნება, ვისაც შესწევს უნარი მთელი მასშტაბით მოიცვას
ადამიანთა საქმიანობა. უმრავლესობისთვის აუცილებელია სა-
კუთარი თავი ერთი ან რამდენიმე სფეროთი შემოფარგლოს.
თუმცა, რაც უფრო ნაკლები იცის მკვლევარმა წარსულისა და
აწყოს შესახებ, მით უფრო ნაკლებდამაკერებელი იქნება მისი
შეხედულება მომავალთან მიმართებით; კიდევ იმ მიზეზით,
რომ სახელდობრ ამ შეხედულებაში თამაშობს ადამიანის სუ-
ბიექტური მოლოდინები მის მნიშვნელობასთან მიმართებით
რთულად ჩამოსაყალიბებელ როლს; და სწორედ ისინია დამო-
კიდებული მისი საკუთარი გამოცდილების პირად მომენტებზე,
მის მეტად ან ნაკლებად ოპტიმისტურ მიდგომაზე ცხოვრებისა-
დმი, მიდგომაზე, რომელიც მისი ტემპერამენტით, წარმატებით

ან წარუმატებლობით არის ნაკარნახევი. საბოლოოდ, ის შე-სანიშნავი ფაქტიც დგინდება, რომ, როგორც წესი, ადამიანები დიდი გულუბრყვილობით განიცდიან საკუთარ აწმყოს და არ შესწევთ მისი შეფასების უნარი; ისინი მანამდე გარკვეული მანძილით უნდა დაშორდნენ ობიექტს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აწმყო წარსულად უნდა იქცეს, თუ გსურს, რომ მისგან საწყისი წერტილი გამოიყვანო მომავლის განსაზღვრისათვის.

ამგვარად, ვინც აპყვება ცდუნებას, საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბოს ჩვენი ცივილიზაციის სავარაუდო მომავლის შე-სახებ, მან ზემომოქანილი მსჯელობა უნდა გაითვალისწინოს, მასთან ერთად კი ის არასაიმედოობა, რომელიც მუდმივად ახლავს ნებისმიერ წინასწარმეტყველებას. აქედან მე იმ დას-კვნას ვაკეთებ, რომ სწრაფად უნდა ავიღო ხელი მეტისმეტად დიდ ამოცანაზე და კვლევის იმ მცირე ნაწილით შემოვიფა-რგლო, რომელიც უწინაც იპყრობდა ჩემს ყურადღებას, და მისი ადგილი უნდა განვსაზღვრო მთლიანის შემადგენლობაში.

ადამიანური ცივილიზაცია – აღნიშნულის ქვეშ მე ვგუ-ლისხმობ ყველაფერს, რითიც ადამიანის ცხოვრება მაღლდება მის ცხოველურ პირობებზე და რითიც ცხოველებისგან განსხვა-ვდება, ამასთან, მე უგულებელვყოფ განსხვავებას კულტურასა და ცივილიზაციას შორის – ეს ადამიანური ცივილიზაცია, რო-გორც ცნობილია, დამკვირვებელს საკუთარ ორ მხარეს უჩ-ვენებს. ერთი მხრივ, იგი ადამიანის მიერ მოპოვებულ ყველა ცოდნასა და უნარს მოიცავს, რომელიც საშუალებას აძლევს მას დაიმორჩილოს ბუნების ძალები და მისგან მატერიალური სა-რგებელი მიიღოს ადამიანურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფი-ლებლად; მეორე მხრივ, იგი მოიცავს იმ წესებსა და კანონებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანებს შორის ურთიერთობე-ბის მოწესრიგების, განსაკუთრებით კი მოპოვებული მატერი-ალური სიკეთის გადასანაწილებლად. ცივილიზაციის ორივე მიმართულება ერთმანეთზეა დამოკიდებული. პირველ რიგში იმიტომ, რომ ადამიანთა ურთიერთობებზე ღრმა გავლენა აქვს პირველად წადილთა დაკმაყოფილების იმ ოდენობას, რომე-ლიც გამგებლობაში არსებულ მიწიერ სიამეთა პირობებშია

၂၀၈၆၁၉၀၇၀၉၃၀၂ မေးသား

თავი I

იმ დროში, რომელსაც მეცნიერებამდელი შეიძლება ვუ-წოდოთ, ადამიანებს არ უჭირდათ სიზმრის განმარტება. იხ-სენებდნენ რა გამოფხილების შემდეგ, მას განიხილავდნენ, როგორც სიკეთის ან ბოროტების მომასწავებელ ნიშანს უმა-ლლესი ღვთიური ან დემონური ძალების მხრიდან. საბუნე-ბისმეტყველო აზროვნების განვითარებასთან ერთად მთელი ეს მახვილგონივრული მითოლოგია ფსიქოლოგიად იქცა, დღე-ისათვის კი განათლებულ ადამიანთა შორის მცირე ნაწილი მოიძებნება, ვისაც ეჭვი ეპარება იმაში, რომ სიზმარი თავად სი-ზმრის მხილველის ფსიქიკური გარჯილობის შედეგია.

მაგრამ მითოლოგიური ჰიპოთეზის გაქრობასთან ერთად სიზმრის განმარტება აუცილებელი გახდა. სიზმართა წარმოშო-ბის პირობები, მათი კავშირი მენტალურ ცხოვრებასთან სითხი-ზლისას, მათი დამოკიდებულება გარე გამლიზიანებლებზე ძი-ლის დროს, ფხიზელი ცნობიერებისათვის უცხო უცნაურობები დაკავშირებული სიზმრის შინაარსთან, შეუსაბამობა მის სურა-თებსა და მასთან დაკავშირებულ აფექტებს შორის, დაბოლოს, სურათების სწრაფი ცვლა და მათი ჩანაცვლების, დამახინჯებისა და მეხსიერებიდან ამოვარდნის საშუალებაც კი – ეს და სხვა პრობლემები უკვე მრავალი ასეული წელია ელის დამაკმაყო-ფილებელ გადაწყვეტას. პირველ ადგილზე დგას საკითხი სიზ-მრის მნიშვნელობის შესახებ – საკითხი, რომელსაც ორგვარი

აზრი აქვს: ერთი, რომ საქმე ეხება სიზმრის ფსიქოლოგიური მნიშვნელობის გამოვლენას, და სხვა მენტალურ პროცესებთან და ბიოლოგიურ ფუნქციებთან მის კავშირს; მეორე, სასურველია ვიცოდეთ, შესაძლებელია თუ არა სიზმრის განმარტება და აქვს თუ არა მის შემადგენელ ყოველ ელემენტს რაიმე „აზრი“, როგორც ჩვენ ამის მიგნებას სხვა ფსიქიკურ აქტებში მივეჩვით.

სიზმრის შეფასებისას შესაძლოა სამი მიმართულება შევნიშნოთ. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც თითქოს სიზმრის უწინ გაბატონებული გადაფასების გამოსხილს წარმოადგენს, ასახვას ზოგ ფილოსოფოსთან პოულობს, რომლებიც სიზმრის საფუძვლად სულიერი მოღვაწეობის განსაკუთრებულ მდგომარეობას ათავსებენ, რომელსაც ისინი სულის განვითარების უფრო მაღალ საფეხურად განიხილავენ. ასე მაგალითად, შუბერტი ამტკიცებს, რომ სიზმარი წარმოადგენს სულის განთავისუფლებას უზენაესი ბუნების ჩაგვრისგან, სულის განთავისუფლებას გრძნობიერი სამყაროს ბორკილებისგან. სხვა მოაზროვნები ესოდენ შორს არ მიდიან, მაგრამ მყარად სწამთ იმ მოსაზრებისა, რომ სიზმრები თავისი არსით ფსიქიკური აგზნებიდან და მენტალური ძალებიდან გამომდინარეობს, რომლებმაც დღის განმავლობაში თავისუფლად გამოვლენა ვერ შეძლო (სიზმრისეული ფანტაზია – შერნერი, ფოლკელტი). მრავალი დამკაირვებელი სიზმარს მიაწერს უნარს განსაკუთრებით ძლიერი ზემოქმედებისა, სულ ცოტა, ზოგ სფეროში მაინც, მაგალითად, მეხსიერებისა.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ავტორ-ექიმთა უმრავლესობა იმ შეხედულებას იზიარებს, რომ სიზმარი რთულად თუ იმსახურებს ფსიქიკური მოვლენის სახელწოდებას; მათი აზრით, სიზმრის გამომწვევია მხოლოდ გრძნობითი და სხეულებრივი გამლიზიანებლები, რომლებიც მძინარეზე გარედან მოქმედებს ან თავად მასში წარმოიშობა შემთხვევით. შესაბამისად, სიზმრის შინაარსს არ შეიძლება იმაზე მეტი აზრი და მნიშვნელობა პქონდეს, რაც, მაგალითად, ხმას აქვს, რომელსაც მუსიკაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანის ათი თითი გამოსცემს კლავიშებზე გადარბენისას. ამ შეხედულების თანახმად, სიზმარი უნდა

მასების ფსიქოლოგია
და ეზოს ანალიზი

თავი | შესაგალი

ინდივიდუალური და სოციალური, ანუ მასების ფსიქოლოგიის დაპირისპირება, რაც თავდაპირველად ფრიად დიდი მნიშვნელობის შემცველ მოვლენად შეიძლება მოგვეჩვენოს, უახლოესი განხილვისას საკუთარი სიმწვავის უდიდეს ნაწილს კარგავს. მართალია, პიროვნების ფსიქოლოგია ცალკეულ პიროვნებასა და იმ გზებს იკვლევს, რომლებითაც იგი პირველად წადილთა იმპულსების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, მაგრამ იშვიათად, მხოლოდ კონკრეტულ, განსაკუთრებულ გარემოებებში შესწევს უნარი, მხედველობაში არ მიიღოს ამ ცალკეული ინდივიდის დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან. ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში ყოველთვის ფიგურირებს „სხვა“. ის, როგორც წესი, ნიმუში, ობიექტი, შემწე ან მოწინააღმდეგეა, და ამიტომ პიროვნების ფსიქოლოგია იმავდროულად იმთავითვე წარმოადგენს სოციალურ ფსიქოლოგიასაც ამ გაფართოებული, მაგრამ სავსებით დასაბუთებული აზრით.

ცალკეული ადამიანის დამოკიდებულებას მშობლებთან, დებსა და ძმებთან, სიყვარულის ობიექტთან, მასწავლებელთან ან ექიმთან, ანუ ყველა დამოკიდებულებას, რომელიც დღე-მდე უმთავრესად ფსიქონანალიტიკური კვლევის საგანი იყო, სრული უფლება აქვს სოციალურ ფენომენად განიხილებოდეს, და ასეთ შემთხვევაში ის სხვა ცნობილ პროცესებთან დაპირის-

პირებული ხდება, რომლებსაც ჩვენ ნარცისული ვუწოდეთ და რომელთა დროს პირველად წადილთა დაკმაყოფილება სხვა ადამიანთა ზეგავლენას მთლიანად ან ნაწილობრივ აღარ ექვემდებარება. ამგვარად, სოციალური და ნარცისული მენტალური პროცესების დაპირისპირება – ბლოილერს შესაძლოა ეთქვა: აუტისტური – უდავოდ პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროს ეკუთვნის და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ ფსიქოლოგიის გამიჯვნის მიზნით სოციალური, ანუ მასების ფსიქოლოგიისგან. ზემოაღნიშნულ ურთიერთობებში მშობლებთან, და-ძმებთან, სატრაფოსთან, მეგობართან, მასწავლებლთან ან ექიმთან ცალკეული ადამიანი ხვდება მხოლოდ ერთი ან უმნიშვნელო რაოდენობის სხვა პირთა გავლენას, რომელთაგან თითოეულმა მისთვის უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. ამჟამად, თუ საუბარი სოციალურ, ანუ მასების ფსიქოლოგიას ეხება, ამ ურთიერთობებს მხედველობაში აღარ იღებენ, გამოყოფენ რა ცალკე კალევის საგნად ერთ ადამიანზე დიდი რაოდენობის ინდივიდთა ერთდროულ ზემოქმედებას, რომლებთანაც ის რაღაცითაა დაკავშირებული, მაგრამ მრავალ საკითხში ისინი შესაძლოა მისთვის უცხოები იყვნენ. ამგვარად, მასების ფსიქოლოგია ცალკეულ ადამიანს განიხილავს, როგორც ტომის, ერის, კასტის, ფერის, ინსტიტუციის წევრს, ან შემადგენელ ნაწილად ადამიანთა ბრძოსი, რომელიც მოცემულ დროსა და მოცემული მიზნით არის მასად ორგანიზებული. ბუნებრივი კავშირის ამგვარი ხლეჩა შობს ტენდენციას, ამ განსაკუთრებულ პირობებში აღმოჩენილი მოვლენები განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული, უფრო ღრმა და დაუსაბუთებელი პირველადი წადილი – სოციალური პირველადი წადილი, რომელიც სხვა სიტუაციებში არ ვლინდება. იმავდროულად, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენთვის რთულია რაოდენობრივი მომენტისთვის იმდენად დიდი მნიშვნელობის მინიჭება, თითქოს ის იყოს ერთადერთი, რომელიც ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ახალ და სხვა შემთხვევაში უმოქმედოდ დარჩენილ პირველად წადილს აღვიძებდეს. შესაბამისად, ჩვენი მოლოდინი სხვა ორი შესაძლებლობისკენაა

გამოსცემლობა „აძტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით
5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანკველის სახარება
9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
12. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
15. ბერტრან რასელი – ესები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
17. ედმუნდ პუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქტი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
26. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
27. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები
28. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
29. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცვილიზაცია
30. მერაბ მამარდაშვილი – ღვევიები ანტიკურ ფილოსოფიაში
31. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები
32. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
33. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
34. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
35. ჭიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
36. ჭიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
37. ჭიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
38. ჭიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება
39. ოშო – რა არის მედიტაცია?
40. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
41. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
42. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი
43. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
44. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჩულება
45. ჭორჭ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
46. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

47. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
48. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
49. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ,
როცა „მე ვარ“
50. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი
I-IV
51. ეკპარტ ტოლე – აწმყოს ძალა
52. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
53. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
54. ნონა ხიდეშელი – Carpe diem
55. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
56. ავტორთა ჭვეფი – სპინოზას ფილოსოფია
57. უან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია
58. ჭონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
59. ჭონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
60. ჭონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება
61. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
62. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
63. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე